საჯარო ბიბლიოთეკა
7843

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП(б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი 10 ოქტომბერი 1941 წ.
№ 240 (6245)
ფასი 15 კაპ.

## უკუვაგდოთ უდარდელობისა და უზრუნველობის განწყობილება

უკვე სამნახევარი თვეა, რაც საბჭოთა ხალხი დიდ სამამულო ომს ეწევა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ. ამ ხნის განმავლობაში აშკარა მარცხი განიცადა კაციჭამია ჰიტლერის ცნობილმა გეგმებმა—ორი თვის ...

... და ბრიანსკის მიმართულებებით ახალი შეტევა დაიწყეს. როგორც ცნობილია, სექტემბრის დამდეგს გერმანელებმა უკვე სცადეს დიდი სატანკო ძალებით გამოჭრილიყვნენ ბრიანსკისაკენ და მაშინ ჰუდერიანის სატანკო ...

... გააგერმანელოს ისინი, გერმანელი თავადებისა და ბარონების მონებად აქციოს ისინი. ამრიგად, საქმე ეხება საბჭოთა სახელმწიფოს სიკვდილ-სიცოცხლეს, სსრ კავშირის ხალხთა სიკვდილ-სიცოცხლეს, ...

... „უწინარეს ყოვლისა საჭიროა, რათა ჩვენმა ადამიანებმა, საბჭოთა ადამიანებმა შეიგნონ მთელი სიღრმე იმ საშიშროებისა, რომელიც ჩვენს ქვეყანას ემუქრება, და უკუაგდონ უდარდელობა, უზრუნველობა, მშვიდობიანი მშენებლობის განწყობილება, სავსებით გასაგები ომამდელ დროში, მაგრამ დამღუპველი ამჟამად, როდესაც ომმა ძირეულად შეცვალა მდგომარეობა. მტერი სასტიკი და ულმობელია. იგი მიზნად ისახავს ხელთ იგდოს ჩვენი ოფლით მორწყული ჩვენი მიწა-წყალი, ხელთ იგდოს ჩვენი შრომით მოპოვებული ჩვენი პური და ჩვენი ნავთი. იგი მიზნად ისახავს აღადგინოს მემამულეთა ძალაუფლება, აღადგინოს ცარიზმი, დაანგრიოს რუსთა, უკრაინელთა, ბელორუსთა, ლიტველთა, ლატვიელთა, ესტონელთა, უზბეკთა, თათართა, მოლდაველთა, ქართველთა, სომეხთა, აზერბაიჯანელთა და საბჭოთა კავშირის სხვა თავისუფალ ხალხთა ნაციონალური კულტურა და ნაციონალური სახელმწიფოებრიობა, ...

... „პრავდის“ მოწინავე, 9/X.

## საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

### 9 ოქტომბრის დილის ცნობა

8 ოქტომბრის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები ბრძოლას ეწეოდნენ მტერთან მთელ ფრონტზე და განსაკუთრებით დაძაბულს — ვიაზმის, ბრიანსკისა და მელიტოპოლის მიმართულებებით.

• • •

ფრონტის დასავლეთის მიმართულების მთელ რიგ უბნებზე ჩვენი ჯარის ნაწილები გააფთრებით ებრძვიან შეტევაზე გადმოსულ გერმანელ ფაშისტთა ჯარებს. გერმანიის სარდლობა დივიზიას დივიზიაზე გზავნის ჩვენი პოზიციების წინააღმდეგ. ჩვენი ჯარის ნაწილები მედგარ წინააღმდეგობას უწევენ ფაშისტურ ჯარებს და მნიშვნელოვან ზარალს აყენებენ მოწინააღმდეგეს. ერთერთი ბრძოლის დროს ჩვენი თვითმფრინავების ჯგუფმა, რომელიც თავის ...

... გზებზე რაზმმა მოსპო ფაშისტთა 42 ავტომანქანა და 23 საზიდარი საომარი მასალებითა და სურსათით, 3 ცისტერნი საწვავი და 6 მოტოციკლი. ამ ოპერაციების დროს მათ დახოცეს მტრის 28 ჯარისკაცი და ერთი ოფიცერი, ხელთ იგდეს 2 გამართული მოტოციკლი, 3 ტყვიამფრქვევი, 10 ავტომატი, 15 ყუთი ხელყუმბარები და მრავალი ვაზნა.

• • •

საბჭოთა მუშაკებისა და კოლმეურნეების ჯგუფი, რომლებმაც თავი დააღწიეს სმოლენსკის ოლქში გერმანიის მიერ ხელში ჩაგდებულ რაიონებს, მოგვითხრობს აღვირახსნილი ჰიტლერელი ხროვის თარეშისა და ბოროტმოქმედების შესახებ. სოფელ ობრუჩნოეში, ...

### 9 ოქტომბრის საღამოს ცნობა

9 ოქტომბრის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ მტერთან ბრძოლებს მთელ ფრონტზე, განსაკუთრებით დაძაბულ ბრძოლებს —ვიაზმის, ბრიანსკისა და მელიტოპოლის მიმართულებებით.

7 ოქტომბრის განმავლობაში მოსპობილია გერმანიის 34 თვითმფრინავი. ჩვენ 17 თვითმფრინავი დავკარგეთ.

• • •

გერმანიის 25 თვითმფრინავმა სცადა თავს დასხმოდა ქალაქ მურმანსკს, მაგრამ ისინი უკუაქციეს ამხ. კუზნეცოვისა და გოლოვნიას საავიაციო ნაწილების მფრინავებმა. საჰაერო ბრძოლებში ჩამოგდებულია მტრის 8 თვითმფრინავი. 9 ფაშისტი მფრინავი, რომლებიც პარაშუტით გადმოხტნენ, ტყვედ წამოვიყვანეთ.

... და ხელყუმბარებით შეიარაღებული პარტიზანები გზისპირად ჩასაფრდნენ. შტაბის მანქანა 100 მეტრზე რომ მოუშვეს, მეტყვიამფრქვევეებმა მას სროლა აუტეხეს. გერმანელმა ოფიცერმა, შოფერმა, ჯარისკაცმა და მოტოციკლისტმა მიატოვეს მანქანა და ტყეში გაიქცნენ. პარტიზანებმა თან წამოიღეს შტაბის დოკუმენტები, მანქანა კი დასწვეს. ამასწინათ რაზმმა მიაკვლია გერმანელთა ავტოკოლონას. 150 მეტრის მანძილიდან პარტიზანებმა ფაშისტებს ტყვიამფრქვევის ძლიერი ცეცხლი დაუშინეს. დაზიანებულ იქნა მტრის ტანსაცმლითა და სხვადასხვა სამხედრო ქონებით დატვირთული რამდენიმე სატვირთო მანქანა. გერმანელთა რაზმთან ხელჩართული ბრძოლის დროს ...

... მით მოსვენებას არ აძლევს ფაშისტურ ნაწილებს გერმანელების მიერ ოკუპირებულ ერთერთ რაიონში ფრონტის დასავლეთის მიმართულებით. ამ დღეებში რაზმის მზვერავებმა მეთაურს შეატყობინეს, გერმანიის ჯარის დიდი ნაწილის შტაბი ერთი სოფლიდან მეორეში გადადისო. მეთაურმა გადაწყვიტა ხელში ჩაეგდო შტაბის მანქანა. 2 ტყვიამფრქვევითა ...

... რულებს. ბარნაულის მელანჟის კომბინატის საფეიქრო ფაბრიკის ოსტატის თანაშემწეები ამხ. გლოსოვი და დიაგილევი წინათ მომსახურებას უწევდნენ 48 დაზგას, ამჟამად კი მომსახურებას უწევენ 60 დაზგას. ფაბრიკა „კრასნოვოლჟსკაია მანუფაქტურაში“ ამხ. ჟუკოვის მეთაურობით ბრიგადამ 6 ვატერი 36 დღის ნაცვლად 18 დღეში ააწყო.

... სი მეთაურობით. ამ დღეებში პარტიზანებმა ააფეთქეს მდინარეზე გადებული ხიდი. გერმანელებმა აღადგინეს ხიდი, მაგრამ პარტიზანებმა ხელახლა დაანგრიეს იგი, ამასთან დახოცეს 12 ჯარისკაცი და ხელთ იგდეს 4 ავტომატი და ხელის ტყვიამფრქვევი. მოკლე ხნის განმავლობაში ერთი რაიონის ...

... ლონელებს. ყველა პოლონელს აქვს გაკეთებული სპეციალური სამკლაური, რომელზედაც წარწერილია ასო „P“. პოლონელები მოკლებული არიან ყოველგვარ უფლებას. პოლონეთის ინტელიგენცია და სამღვდელოება ფაშისტებმა გზის მშენებლობაზე და მალაროებში სამუშაოდ გარეკეს.

## თბილისის კვანძის რკინიგზელ და აქტივისტ ქალთა მიტინგი

ამასწინათ მოსკოვის კვანძის რკინიგზელ და აქტივისტ ქალთა მიტინგმა სპეციალური მოწოდებით მიმართა საბჭოთა კავშირის ყველა ...

9 ოქტომბერს იგი განიხილეს ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის კვანძის რკინიგზელ და აქტივისტ ქალთა მიტინგზე. საღამოს 7 საათზე კვანძის აგიტპუნქტის დარბაზში თავი მოიყარა 300-ზე მეტმა რკინიგზელმა ქალმა, რკინიგზელთა ცოლებმა, დედებმა, დებმა და ქალიშვილებმა.

მიტინგმა მოისმინა ამხ. ს. ხოჯაევის მოხსენება, რომელმაც დამსწრეთ გააცნო მოსკოვის კვანძის ...

... (წითელი ჯვრის საკვანძო კომიტეტის თავმჯდომარე), რებეკა ქელეზნიაკმა (პირველი პოლიკლინიკის პირველადი პარტორგანიზაციის მდივანი), ასია ტოროსოვამ (ცენტრალური სტომატოლოგიური პოლიკლინიკის კომკავშირის კომიტეტის მდივანი).

მიტინგმა მიიღო რეზოლუცია, რომლის თანახმად კვანძის რკინიგზელი და აქტივისტი ქალები კისრულობენ ვალდებულებას — განუხრელად განამტკიცონ კავშირი ფრონტსა და ზურგს შორის, ...

... ტლივ ადევნონ თვალყური სადგურების, ვაგზლების, სასამსახურო შენობებისა და მატარებლების სანიტარულ მდგომარეობას, რათა იქ მუდამ სისუფთავე იყოს დაცული, გააუმჯობესონ მგზავრთა მომსახურება, დააწესონ სანიტარული საგუშაგოები, დაეუფლონ რკინიგზის პროფესიებს, სამხედრო საქმეს და სხვ.

მიტინგმა მაღალ პოლიტიკურ დონეზე ჩაიარა.

## სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გენეტიკის ინსტიტუტის მუშაობა

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილების მორიგ სხდომაზე აკადემიკოსმა ტ. დ. ლისენკომ მოხსენება გააკეთა აკადემიის გენეტიკის ინსტიტუტის სამეცნიერო-საკვლევო მუშაობის შესახებ.

— წელს,—სთქვა ამხ. ლისენკომ, — გენეტიკის ინსტიტუტი ზოგად თეორიულ მუშაობასთან ერთად ეწევა კვლევას, რომელსაც ომიანობის პირობებში დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობისათვის. ...

... ინსტიტუტმა დიდი მუშაობა გასწია მცენარის ორგანიზმების ბუნების ცვალებადობის შესასწავლად.

კრებამ სცნო, რომ გენეტიკის ინსტიტუტს ფრიად ძვირფასი მუშაობა გაუწევია. (საკდესი).

## სიმამაცე და სიმტკიცე

სამხრეთ-დასავლეთის მიმართულება, 9 ოქტომბერი (საკდესი). ...

... დაზგის ტყვიამფრქვევის პირველი ნომერი ამხ. მარტინენკო დღის 3 საათიდან ღამის 12 საათამდე თითქმის შეუწყვეტლად უშენდა ტყვიას ფაშისტებს. იგი ფეხში დაიჭრა, მაგრამ მაინც განაგრძობდა სროლას, ჭრილობაც კი არ შეუხვევინებია. იგი მხარში დაიჭრა, მაგრამ კვლავ განაგრძობდა სროლას. უკვე სისხლისაგან იცლებოდა ამხ. მარტინენკო, რომ წამოუწია ასადგომად, მაგრამ ...

... პირადი მაგალითით აღაფრთოვანებდნენ მებრძოლებს ლეიტენანტი ნიკოლოზ ჩერეპაკოვი და უმცროსი პოლიტხელი ალექსანდრე შარაშენიძე. მოხერხებულად სარგებლობდნენ რა შაშხანით, ხელყუმბარითა და ნიჩბით, ისინი, უშიშარნი, ყოველთვის წინ, ბრძოლის ყველაზე უფრო საშიშ ადგილას იყვნენ. ამან უზრუნველჰყო გამარჯვება.

მალიგაშევი

## საქართველოს მინდვრებსა და პლანტაციებში

ორდენოსანი საქართველოს კოლმეურნეობები გაძლიერებული ტემპებით აწარმოებენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის უდანაკარგოდ აღებას და მით ზურგს უმტკიცებენ ჩვენს გმირულ წითელ არმიას. მარცვლეული თავთავიანი კულტურების მოსავლის აღება დამთავრდა მთიან ადგილებშიც. 5 ოქტომბრისათვის გალეწილი იყო აღებული მოსავლის 96,9 პროცენტი.

გაჩაღებულია სიმინდის მოსავლის აღება. ამ კულტურის მოსავლის აღება დაამთავრეს ხაშურის, წითელწყაროს და ...

... გეგმები უკვე შეასრულეს თეთრიწყაროს, თიანეთის, წითელწყაროს, ლაგოდეხისა და ყვარლის რაიონებმა.

კოლმეურნეობები თავგამოდებით იბრძვიან მომავალ წელს უხვი მოსავლის მოსაღებად. ამის საფუძველია საშემოდგომო თესვის შემჭიდროებულ ვადებსა და მაღალხარისხოვნად ჩატარება. 5 ოქტომბრისათვის დათესილი იყო 74.708 ჰექტარი, ანუ ორჯერ მეტი, ვიდრე გასული წლის ამავე რიცხვისათვის. ...

## ინგლისის ავიაციის მოქმედება

ლონდონი. ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო იუწყება, რომ კვირის განმავლობაში, რომელიც 6 ოქტომბერს დამთავრდა, ინგლისის სამხედრო-საჰაერო ძალებმა ფართო ოპერაციები ჩაატარეს. ავიაცია განსაკუთრებით დიდ აქტივობას იჩენდა გერმანიის ნავსადგურებისა და ოკუპირებული საფრანგეთის ნავსადგურების მიმართ ...

... ფრიზის კუნძულებთან. ერთ საჰაერო გემს ცეცხლი გაუჩნდა. მეორე დღეს დიუნკერკის მახლობლად ბომბის მოხვედრით ცეცხლი გაუჩნდა მეორე გემს. 3 ოქტომბერს მტრის სატვირთო გემი, რომელიც საჰაერო თავდაცვის 7 გემის ბადრაგით მიდიოდა, ინგლისის თვითმფრინავებმა გრაველინის მახლობლად აღმოაჩინეს. ინგლისის გემებმა იერიში მიიტანეს ამ ქარავანზე. ...

## ბაქტერიული სასუქი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებისათვის

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მიკრობიოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომა, რომელიც ამ დღეებში შესდგა, მიეძღვნა სოფლის მე- ...

... ექნება ადგილობრივი სახის ბაქტერიებიდან დაამზადოს ძვირფასი გამოხეირებელი პრეპარატები „ნიტრაგინი“ და „აზოტოგენი“, რომლებიც სცვლიან აზოტ- ...

ამ პრეპარატების ადგილობრივ მასობრივად დამზადება ტრანსპორტს გაანთავისუფლებს ხელოვნური სასუქის გადაზიდვისაგან და საშუალებას მოგვცემს ახალი გამ- ...

## ლენინგრადის მისადგომებზე

ტყვეები, რომლებიც ხელთ ვიგდეთ ჯერ კიდევ 10-12 დღის წინათ, მოგვითხრობენ, რომ ფაშისტი ოფიცრები თავიანთ ჯარისკაცებს ჰპირდებოდნენ იოლ გამარჯვებას ლენინგრადთან, ჰხიბლავდნენ მათ საუცხოო ქალაქის სიმდიდრით, აღუთქვამდნენ მაძღარ ცხოვრებას, დროს გატარებას ღხინსა და ქეიფში. უფრო მეტი, „სს" ერთი დივიზიის მოიერიშენი, რომლებიც ზურგიდან მოვიდნენ, უსიამოდ იყვნენ გაკვირვებულნი, როცა გაიგეს, რომ ქალაქთან ჯერ კიდევ ბრძოლაა. მათთვის უცნობებიათ, ლენინგრადი უკვე აღებულია და საჭიროა მხოლოდ „წესრიგის დამყარებაო", სხვანაირად რომ ითქვას, ძარცვაო. უკანასკნელ დღეებში შეპყრობილი ტყვეები სულ სხვა რამეს ამბობენ. ოფიცრები, თურმე, ახლა ჯარისკაცებს განუმარტავენ, ქალაქის აღება საჭირო არ არისო.

განწყობილების ასეთი უეცარი შეცვლა იმით აიხსნება, რომ გერმანელები ლენინგრადის ფრონტზე, დროებით წარმატებათა შემდეგ, გადამწყვეტ წინააღმდეგობას შეხვდნენ. უკანასკნელი 8-10 დღის განმავლობაში გერმანელებს ქალაქისაკენ ერთი ნაბიჯითაც კი არ წამოუწევიათ წინ. მუდამ მარცხით მთავრდება მთელი მათი ცდა — განაგრძონ შემოტევითი მოქმედება. გერმანელებს ლენინგრადთან მეტად მნიშვნელოვანი ზარალი მოუვიდათ. მაგალითად, „სს" ნაკრებმა დივიზიამ 121-ე და 122-ე ქვეითმა დივიზიებმა საშუალოდ დაჰკარგეს ცოცხალი ძალის არა ნაკლებ 45-50 პროცენტისა. ერთ-ერთი ამ დივიზიის ტყვე სანიტრის ჩვენებით, მის ასეულს 17 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე 75 კაცი გამოაკლდა.

უდიდესი ზარალი მოსდით გერმანელებს ტექნიკისა და საჭურვლის მხრივ. ქალაქთან მოქმედ გერმანელთა დივიზიებში საშუალოდ მოსპობილია არტილერიის 40 პროცენტი. განსაკუთრებით დიდია მტრის ტანკიანი ძალების დანაკლისი.

ზამთრის მოახლოება აშინებს გერმანელ ჯარისკაცს. იგი ცუდად არის ჩაცმულ-დახურული, შეგუებული არ არის ზამთრის პირობებთან. გერმანელ ჯარისკაცთა უმრავლესობას ფარაჯა არა აქვს. ტყვეების ჩვენებიდან სჩანს, რომ ჯარისკაცები ცვლასა, დასვენებასა და ომის დამთავრებაზე ოცნებობენ.

ლენინგრადის ფრონტზე საბრძოლო მოქმედების ინიციატივა თანდათან ჩვენს ხელში გადმოდის.

შემჩნეულია ფაშისტთა ჯარის ნაწილების ფრონტის ერთი უბნიდან მეორეზე გადაყვანა, რათა გაჩენილი ხარვეზები შეავსონ. ცნობილია შემთხვევა, როცა გერმანელთა ერთი დივიზია დანაწილებულ იქნა მთელ რიგ პატარა ჯგუფებად, რომლებიც ერთმანეთისაგან განცალკევებულად მოქმედებდნენ.

ჩვენი ფრონტის სამხრეთ-აღმოსავლეთ სექტორში დაძაბული ბრძოლაა. ამ უბანზე, მდინარე ტ-ს ნაპირზე, გერმანელებმა მოახერხეს ხელსაყრელი პოზიციები დაეკავებინათ. მბრძანებელ მაღლობებზე მიწური სიმაგრეების აგებით მათ შეჰქმნეს საცეცხლე წერტების მთელი ქსელი, რომლებიც წვდებიან უბანს ყველა მიმართულებით და ფრონტალური და საფლანგო ცეცხლით. მიუხედავად ამისა, № ნაწილის ერთ-ერთმა ქვეითმა ქვეგანაყოფმა, ტანკებისა და ავიაციის მჭიდრო თანამოქმედებით, ბალტიის ფლოტის არტილერიის დახმარებით, შესძლო მდინარისაკენ გაჭრა, ჩააჩუმა მტრის ბევრი საცეცხლე წერტი და გამაგრდა ხელსაყრელ მიჯნაზე.

გაავთრებულ კონტრიერიშებს, რომლებიც მტერს ყოველ დღე მოჰქონდა, მუდამ ვიგერიებდით მისთვის დიდი ზარალის მიყენებით. დღის განმავლობაში გერმანელებმა ამ პაწაწა, მაგრამ მნიშვნელოვან უბანზე მოკლულთა სახით 2 ათასამდე კაცი დაჰკარგეს. ყოველ დღეს მოაქვს ცნობები წითელი არმიის ნაწილების შემდგომი წინსვლის შესახებ.

ქალაქთან გაჩაღებულ შეუპოვარ ბრძოლაში იჭედება ჩვენი მებრძოლების შეტევითი სულისკვეთება. მაშინ, როცა ლენინგრადის ფრონტზე მოქმედ გერმანელთა ჯარების მატერიალური რესურსები ილევა, წითელი არმიის ტექნიკური აღჭურვილობა იზრდება. ქალაქის თავდაცვითი მრეწველობა შეუფერხებლად აწვდის ფრონტს ყოველივე იმას, რაც მას სჭირდება.

მტერი ჯერ კიდევ ძლიერია და საფრთხე დიდია, მაგრამ ქალაქის დამცველნი თავის გამარჯვებას ამზადებენ.

გენერალ-მაიორი
**ვ. ა. კრილოვი.**

ლენინგრადი, 8 ოქტომბერი (საკდესი).

## გერმანელ მემამულეთა გეგმები

ჩვენს წინ დევს სქელი ქაღალდის ფურცელი მანქანაზე დაბეჭდილი ტექსტით. წერილის ავტორია ახალგაზრდა გრაფი, ჰიტლერული არმიის ლეიტენანტი რეიხერტი, ხოლო ადრესატი—მისი მეგობარი პრეიჩი. ორი კვირის წინათ გრაფი თავისი ნაწილიდან წასულა. ახლა იგი სახლიდან სწერს და თანაც მამაცად მოაქვს თავი.

„სამშობლოში გადაყვანა სრულიად მოულოდნელი იყო ჩემთვის, და გაცილებით უფრო მეტი ხალისით დავრჩებოდი თქვენთან. მიუხედავად ამისა, მე ბუნებრივია, იძულებული გავხდი ანგარიში გამეწია აუცილებლობისათვის".

რა აუცილებლობამ აიძულა მისი ბრწყინვალება სასწრაფოდ წასულიყო არმიიდან? თურმე გერმანიის სარდლობა ზრუნავს არა მარტო აწმყოზე, არამედ მომავალზეც. გრაფი სწერს:

„თითქმის ყველა მიწათმფლობელნი, სადაც არ უნდა იყვნენ ისინი ამჟამად, გაწვეული არიან ნაწილებიდან, რათა ცალკე აღადგინონ ახალ საფუძველზე ყოველივე ის, რაც დასტოვეს წითლებმა. ჩვენ მივიღეთ დავალება ავამაღლოთ მოსავალი ბალტიკაში, უკრაინაში და ა. შ. და შემდეგ ვიზრუნოთ მეურნეობის მუდმივი ხელმძღვანელობისათვის მთელ უზარმაზარ სასოფლო-სამეურნეო ფართობზე".

ამგვარად, გერმანელი მემამულეები ემზადებიან „მეურნეობის მუდმივი ხელმძღვანელობისათვის" ჩვენს მიწაზე. გრაფი აღფრთოვანებულია მიღებული დავალებით:

„ეს, ჭეშმარიტად, დიდი და საუცხოო ამოცანაა",—სწერს იგი. მაგრამ მას იქვე ახსენდება ერთი არსებითი დაბრკოლება და უხეში გულუბრყვილობით წამოროშავს, თუ რა აწუხებს მას „დიდ და საპატიო ამოცანასთან" დაკავშირებით:

„მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ ჯერ კიდევ მოუკლავი დათვის ტყავზე ვწევართ და ველით, როდის დაიპყრობთ თქვენ იმას, რაც ჩვენ როდისმე უნდა ავითვისოთ".

ჯერჯერობით გრაფი ჩარიცხულია მემამულეთა ხეპრე ვაჟებისაგან შედგენილ კასელის „სამეურნეო რაზმში" და მიიღო შვებულება.

შემდეგ წერილში აღწერილია ოჯახური საქმეები. გრაფისთვის გზაში ორი ჩემოდანი მოუპარავთ. ერთი უპოვნია, მეორე კი, მისი აზრით, სადმე რუსეთშია. ბოლოს გრაფი სალამს უგზავნის „ამხანაგებს I შტაბში" და უსურვებს მათ „ბრწყინვალე სამხედრო წარმატებებს და უდანაკარგოდ".

ტყუილად ელის გრაფი „სასოფლო-სამეურნეო ფართობის ათვისების" შესაძლებლობას. საბჭოთა ბელორუსიის, უკრაინისა და რუსეთის ხალხები არ მოითმენენ, რომ მათს მინდვრებს ფონ-რეიხერტებისა და სხვა ფონ-ბარონების ტალახიანი ჩექმები სთელავდეს. ჩვენმა ხალხმა იმიტომ კი არ გარეკა რუსი და უკრაინელი მემამულეები, პოლონელი პანები და გერმანელი ოკუპანტები, რომ ოცი წლის შემდეგ გერმანელ მემამულეთა უღელი დაიდგას და ფაშისტი არამზადების მონა გახდეს.

შემდეგ, ტყუილად აქვს იმედი გრაფს, რომ „I შტაბი" უდანაკარგოდ დარჩება, ტყუილად ელის იგი პასუხს თავის ამხანაგებისაგან. იარცევოსთან დაჰკარგეს მათ ჰიტლერული ნაბოდვარით გამოტენილი თავისი თავი და დაიმარხნენ სწორედ იმ მიწაში, რომელსაც სხვისი დოვლათის მოხვეტას მიჩვეული თავისი ყაჩაღური ხელები წაუპოტინეს ფაშისტმა დამრბევლებმა.

**მ. სოკოლოვი**

(„პრავდა", 2 ოქტომბერი).

## დავუმზადოთ თბილი ტანსაცმელი წითელ არმიას

### სამშობლოს მამაც დამცველებს

**თელავი.** სოფ. აკურის კოლმეურნეობა „მოწინავის" წევრები ნინო ჰურღულაშვილი, ელენე ლაღიაშვილი, მალუცა ბერიაშვილი, ქეთო ქევხიშვილი, სირანა ჰოტორლოშვილი, ქეთო ჰურღულაშვილი, დარო ომიაძე, სონა ქევხიშვილი წითელი არმიის მებრძოლებისათვის ჰქსოვენ მატყლის წინდებსა და ხელთათმანებს.

ამ კოლმეურნეობამ პირველ დღეებში შეაგროვა 500 წყვილი წინდა, 500 წყვილი ხელთათმანი, 800 ცალამდე ცხვარსახოცი, 200 წყვილი პირსახოცი და სხვ.

კოლმეურნეობის წევრები წითელარმიელებსა და მეთაურებს საჩუქრად უგზავნიან 1.000 ცალ კახურ ჩურჩხელას.

**მ. ალხაზაშვილი**

* * *

**ცხაკაია** („კომუნისტის" კორ.). რაიონის მშრომელებმა წითელი არმიის მებრძოლებისათვის შეაგროვეს 500 ქულაჯა, 500 დაბამბული შარვალი, 200 წყვილი მატყლის წინდა, ხელთათმანი და სხვ. სოფ. უზმათის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა, სტახანოველმა ნაზია კუჭავამ მოამზადა დაბამბული შარვალი, ორ-ორი წყვილი წინდა და ხელთათმანი, თბილი პერანგი, კოლმეურნე გრ. გოგიბაშ კი—დაბამბული ტანსაცმელი და ერთი წყვილი თბილი საცვლები.

ახალი სოფლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა თ. ხვედურიანმა, ე. მურღულიამ, გრ. გადილიამ წითელ მებრძოლებს საჩუქრად მოუმზადეს თითო წყვილი დაბამბული ტანისამოსი და თითო ცალი სვიტერი.

**ს. კუჭავა**

**თეთრიწყარო** („კომუნისტის" კორ.). რაიონში დიდი წარმატებით მიმდინარეობს ჩვენი სახელოვანი წითელი მებრძოლებისათვის თბილი ტანსაცმლის შეგროვება. სოფ. სამღრეთის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობაში მარტო ერთ დღეს შეაგროვეს 30 წყვილი წინდა, 15 წყვილი ხელთათმანი, ხუთი სვიტერი, ერთი ნაბდის ჩექმა, 4,8 კილოგრამი მატყლი, ცხვრის ორი ტყავი და სხვ. ამ კოლმეურნეობამ იკისრა წითელარმიელებისათვის თბილი ტანსაცმლის მოსაქსოვად გადასცეს 100 კილოგრამი მატყლი.

სოფ. ზახილის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა პირველ დღეებში შეაგროვეს 26 წყვილი წინდა, 5 წყვილი ხელთათმანი, 14 ცალი ტყავი და 4 კილოგრამი მატყლი. ასევე წარმატებით მიმდინარეობს საზამთრო ტანსაცმლის შეგროვება სოფ. წინწყაროს „ზარია ვოსტოკას" სახელობის კოლმეურნეობაში. აქ მხურვალედ გამოეხმაურნენ მშრომელთა ინიციატივას წითელარმიელებისათვის თბილი ტანსაცმლის დამზადების შესახებ. ამ მოწოდების გაცნობის პირველ დღესვე შეგროვებულ იქნა ცხვრის 24 ცალი ტყავი, 3,5 კილოგრამი მატყლი, 10 წყვილი მატყლის ხელთათმანი, 63 წყვილი წინდა, 4 წყვილი თბილი საცვალი, 2 ცალი თბილი ქუდი, 39 ჯემპერი და სხვ.

თეთრიწყაროს საშუალო სკოლის მასწავლებელმა ქ. პოპულიდიმ შეიტანა თბილი ქურქი, თბილი პერანგი, ხელთათმანები და თბილი ქუდი. მასწავლებელმა ქ. ტაზაგულოვამ თბილი ქურქი, ბამბის შარვალი, თბილი ქუდი, ხელთათმანი და თბილი ყელსახვევი.

**ა. ჩაგლეიშვილი**

## გერმანიის საინფორმაციო ბიუროს ახალი სულელური ჭორი

**თეირანი,** 8 ოქტომბერი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო ამ უკანასკნელ დღეებში გაძლიერებით ავრცელებდა ცნობას იმის შესახებ, თითქოს გერმანიის დიპლომატიური მისიის შემადგენლობამ ირანიდან წასვლისას სხვადასხვაგვარი შევიწროება განიცადა. გებელსის უწყებაში მოკალათებული გამოცდილი მჯღაბნელები, რომლებიც, რა თქმა უნდა, კარგად იცნობენ დიპლომატიურ პირთა ხელშეუხებლობის დარღვევის გერმანულ მეთოდებს, არ ზოგავდნენ ფერადებს, რათა თავიანთი ჩვეულებრივი ხერხები მიეწერათ ირანში მყოფი საბჭოთა წარმომადგენლების მოქმედებისათვის. მაგრამ მათ არ გაუთვალისწინებიათ ზოგიერთი გარემოება, რომელიც მათს სიცრუეს ააშკარავებს. ირანიდან გერმანიის მისიის წასვლა ხდებოდა ირანში წარმოდგენილ სახელმწიფოთა მრავალრიცხოვანი დიპლომატიური წარმომადგენლების თვალწინ. ისინი გაკვირვებასა და აღშფოთებას გამოსთქვამენ გერმანული პროპაგანდის უაზრო, სულელური ჭორის გამო, ვითომ გერმანიის დიპლომატიური მისიის თანამშრომლებს ცუდად მოეპყრნენ.

ნამდვილად კი გერმანიის მისიის მთელი შემადგენლობა ირან-თურქეთის საზღვარზე გატარებულ იქნა ყველა დიპლომატიური დოკუმენტითა და პირადი ამანათით, რომელიც არც კი ყოფილა გასინჯული. როგორც ცნობილია, გერმანიის მისიის გამგზავრებასთან ერთად ირანიდან წავიდნენ იტალიის მისიის თანამშრომლებიც, რომლებსაც აცილებდა იაპონიის თეირანული მისიის წარმომადგენელი.

ღერძის სახელმწიფოთა მისიების მიმავალ თანამშრომლებს წესიერად ეპყრობოდნენ. თურქეთის სასაზღვრო სამსახურის ოფიცრებისა და იაპონიის ირანში ხკრედიტებული დიპლომატიური მისიის წარმომადგენლის დასწრებით, რომელიც აცილებდა მიმავალ იტალიელებს, იტალიის დესპანმა მადლობა გადაუხადა საბჭოთა კომისარს იტალიის მისიის წევრებისადმი საბჭოთა სამხედრო ხელისუფლების თავაზიანი მოპყრობისათვის. ქალაქ მაქუში იტალიის დესპანმა საბჭოთა სარდლობას სთხოვა გამოეყო წითელარმიელები მისიის დასაცავად. ეს თხოვნა გამოწვეული იყო იმ შიშით, ვაი თუ ირანელმა შოფერებმა, რომლებსაც გზაში იტალიელმა საზღვაო და საავიაციო ატაშეებმა სცემეს, ექსცესები მოაწყონო.

მაშ რად დასჭირდა გერმანიის საინფორმაციო ბიუროს აეტეხა ხმაური ირანიდან გერმანელი დიპლომატების გამგზავრებისა და მათი, ვითომ „შევიწროების" საკითხის გამო? ეს შემდეგი ფაქტით შეიძლება აიხსნას: გერმანელი დიპლომატები ცდილობდნენ მისიის ბარგით საზღვარზე გაეპარებინათ ანტისაბჭოთა ჯაშუშებისა და დივერსანტების ჯგუფი. მაგალითად, მისიის წევრთა დოკუმენტების შემოწმებისას აღმოჩენილ იქნა შუმი ჯაშუში — ყუბანელი თეთრგვარდიელი ვილი ბოროვსკი, რომელსაც ნაჩქარევად შეთითხნილი პასპორტი ჰქონდა და რომელიც ცდილობდა გაქცეულიყო თურქეთში გერმანიის დესპანის პირადი მანქანით. ბოროვსკის აღმოაჩნდა ოქროს ზოდები, ძვირფასეულობა და დიდძალი ფული. გამოირკვა აგრეთვე, რომ ირანში მყოფ გერმანელი კოლონიის ბევრი წევრი, რომლებმაც რუსული ენა კარგად იციან, სპეციალურად ემზადებოდნენ სსრ კავშირის ტერიტორიაზე დივერსიული აქტების ჩასადენად. ზოგიერთი მათგანიც აპირებდა გერმანიის მისიის მფარველობით ირანიდან გაქცეულიყო. საბჭოთა წარმომადგენლებმა საზღვარზე გამოააშკარავეს გერმანელ მოხელეთა ეს ხრიკი და შეიპყრეს ჯაშუშები, რომლებიც ცდილობდნენ მიმალულიყვნენ.

ეს ფაქტები სავსებით ნათელს ხდიან, რომ მთლად ყალბია გერმანელთა მტკიცება, თითქოს ირანიდან გაძევებულ გერმანიის მისიის წევრებს „ავიწროებდნენ".

## რუზველტის წერილი ამერიკის შრომის ფედერაციის ყრილობისადმი

**ნიუ-იორკი,** 8 ოქტომბერი (საკდესი). გუშინ გაიხსნა ამერიკის შრომის ფედერაციის 61-ე ყოველწლიური ყრილობა. აღმასრულებელი კომიტეტის ანგარიშში, რომელიც ყრილობას წარედგინა, აღნიშნულია, რომ ჰიტლერის ნამდვილ მიზანს შეადგენს მისწრაფება დაიმორჩილოს ევროპის ყველა ქვეყანა და ამ გზით დაამყაროს თავისი ტოტალიტარული რეჟიმი. თავისუფალი დემოკრატიული პროფკავშირები მოსპობილია გერმანელთა მიერ დაპყრობილ ყველა ქვეყანაში და იმ ქვეყნებში, რომლებსაც კონტროლს უწევენ ჰიტლერის არმიები. თავისუფლება მოსპობილია ყველგან, სადაც კი გერმანიის არმია კონტროლს უწევს მთავრობის პოლიტიკას. დიქტატორი ჰიტლერი და მისი თანამოაზრენი თავისი მოქმედების დროს ხელმძღვანელობენ რასობრივი სიძულვილით. მათ მიერ ეროვნულ უმცირესობათა დევნა და მოსპობა ისტორიაში დარჩება, როგორც ყველაზე უფრო სასტიკი და გაუმართლებელი მათი მხეცური აქტთაგანი.

აღმასრულებელი კომიტეტი ყრილობას ურჩევს მხარი დაუჭიროს ამერიკის თავდაცვის პროგრამას და ინგლისისა და მისი მოკავშირეებისათვის სრული და ყოველმხრივი დახმარების გაწევის პოლიტიკას. რუზველტმა ყრილობას მიმართა წერილით, რომელშიც მოუწოდებს წარმოების დაჩქარებისაკენ და პროფკავშირთა ერთობისაკენ იმ მიზნით, რომ გაადვილებულ იქნას ნაცისტური ბარბაროსობის მოსპობის ამოცანები. „ჰიტლერიზმის საფრთხე,—სწერს რუზველტი,—მიმართულია არა მარტო მუშების წინააღმდეგ, თუმცა ისინი მათს პირველ რიგებში არიან, ვინც ჰიტლერიზმისაგან დაიტანჯებოდა. ჰიტლერიზმი გვემუქრება ყველას—მამაკაცებს, ქალებს, ბავშვებს, რომლებსაც გვრწამს თავისუფლება. იგი ემუქრება ყველაფერს, რასაც ჩვენ ვეტრფით, როგორც ამერიკელები და თავისუფალი ადამიანები. ამიტომ ამერიკელმა ხალხმა ფიცი დასდო გააკეთოს ყველაფერი, რაც კი ძალუძს, რათა მას თავისუფლებანი ვერასოდეს ვერ წაართვან. ჩვენ უნდა მოვახმაროთ და ვაღდებულნიც ვართ მოვახმაროთ თავისუფლებათა დაცვის საქმეს მთელი ის ფიზიკური და გონებრივი ენერგია, რაც ჩვენ გვაქვს. ჩვენი პროგრამა თავდაცვისა—ჩვენი წარმოება გემების, თვითმფრინავების, ქვემეხებისა და ტანკებისა —რამდენადაც შესაძლოა ფართო უნდა იყოს. იგი განსაზღვრული უნდა იყოს მხოლოდ ერთი ფაქტორით—ნაცისტთა ურდოებზე გასამარჯვებლად საჭირო იარაღის რაოდენობით".

როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი" გადმოგვცემს, ამერიკის შრომის ფედერაციის თავმჯდომარემ ყრილობაზე განაცხადა, რომ ამერიკის შრომის ფედერაცია მხარს უჭერს რუზველტის პროგრამას, აღუთქვა აგრეთვე, რომ მხარს დაუჭერს მთავრობას „იმ შემთხვევაში, თუ აუცილებელი გახდება უფრო გადამწყვეტი მოქმედება ხალხების ნაოსნობის თავისუფლების შესანარჩუნებლად და მთელს მსოფლიოში დემოკრატიის დასაცავად".

## დიდი უთანხმოებანი ფინეთის სეიმში

**სტოკჰოლმი,** 8 ოქტომბერი (საკდესი). ფინური გაზეთების „უუსი სუომისა" და „ჰუვუდსტადსბლადეტის" ცნობით, ფინეთის სეიმის ახლანდელ სესიაზე ცხარე კამათი გაიმართა, რაც იმას მოწმობს, რომ ფინეთის მმართველ წრეებში დიდი უთანხმოებანი არსებობენ. ფინეთის მმართველთ ეგონათ, რაკი დავაპატიმრეთ სეიმის ოპოზიციურ დეპუტატთა ჯგუფი ვიიკის მეთაურობით, რომლებიც ფინეთის მთავრობის პროჰიტლერულ პოლიტიკას ამხილებდნენ, ბოლოსდაბოლოს მოვახერხეთ „ოპოზიცია აღმოვფხვრა" ჩვენს რიგებშიო. მაგრამ საკმარისი იყო კამათი დაწყებულიყო, რომ სეიმის ტრიბუნიდან გაისმა მრისხანე სიტყვა მთავრობის მისამართით. ბევრმა დეპუტატმა მკვეთრად გააკრიტიკა მთავრობის საგარეო და საშინაო პოლიტიკა. დიდი სიტყვა წარმოსთქვა „შვედური სახალხო პარტიის" დეპუტატმა პროფესორმა ფურუჰელმა. „ჰუვუდსტადსბლადეტის" სიტყვით, ფურუჰელმა სთქვა: „სეიმის შვედურ ფრაქციას საჭიროდ მიაჩნია განაცხადოს, რომ სეიმი დღემდე საკმაოდ ვერ იცნობდა უკანასკნელი ხნის ამბებს, თუმცა სეიმი უკვე მთელი თვეა, რაც მუშაობს, მაგრამ დეპუტატებს ჯერაც არ მიუღიათ ანგარიში ფინეთის საგარეო-პოლიტიკური და სამხედრო მდგომარეობის შესახებ. დემოკრატიული სახელმწიფო წესწყობილებისა და ხალხის წინაშე სეიმის პასუხისმგებლობის თვალსაზრისით, — განაცხადა ფურუჰელმა, — საქმის ასეთი მდგომარეობა აშკარად არადამაკმაყოფილებელია და შიშს ჰბადებს. ფურუჰელმა და მის შემდეგ გამოსულმა „შვედური სახალხო პარტიის" დეპუტატმა ესტლანდერმა მოითხოვეს, რათა მთავრობამ უახლოეს ხანშივე ჩააბაროს სეიმს თავისი მოღვაწეობის ანგარიში.

კოალიციური პარტიის დეპუტატმა ჰურტმა მთავრობა გააკრიტიკა იმისათვის, რომ მან ეფექტიანი ღონისძიებანი არ იხმარა ფინეთის სასურსათო მდგომარეობის გაუარესებისა და სიძვირის წინააღმდეგ. სოციალ-დემოკრატმა დეპუტატმა პელტონენმა მოითხოვა, რათა სახელმწიფო მოსამსახურეთ 30 პროცენტით გაუდიდონ ხელფასი. კამათში გამოსულმა აგრარული პარტიის დეპუტატმა ნიუკანენმა ბიუჯეტის შემდგენელთ ბაიკები უწოდა და მთავრობას ბრალად დასდო უპასუხისმგებლო მიდგომა ახალი გადასახადების შემოღების საკითხისადმი. სოციალ-დემოკრატმა დეპუტატმა ლეხტოკოსკიმ მოითხოვა, რათა მთავრობამ გაადიდოს ასიგნობა ჯანმრთელობის დაცვისათვის. ლეხტოკოსკიმ აღნიშნა: მთავრობამ სახსრების გაცემა შესწყვიტა ჯანმრთელობის დაცვის საჭიროებისათვის მაშინ, როდესაც სამოქალაქო მოსახლეობაში სიკვდილიანობამ ძალზე იმატაო.

## თურქული გაზეთი „ულუსი" ფაშისტური იტალიის შეცდომების შესახებ

**ანკარა,** 8 ოქტომბერი (საკდესი). გაზეთ „ულუსის" საგარეო პოლიტიკურმა მიმომხილველმა ესმერმა ერთ-ერთი თავისი მორიგი წერილი მიუძღვნა იტალიის მდგომარეობას, რომელმაც, მისი აზრით, მრავალი შეცდომა დაუშვა ამ ომში. იგი ომში ჩაება,—სწერს ესმერი,—არა გერმანიასთან თავისი მოკავშირეობის ერთგულებით, არამედ იმ იმედით, რომ თითქოს ინგლისი განადგურების კარზე იმყოფება. იგი ომში ჩაება არა იმისათვის, რომ იომოს, არამედ იმისათვის, რომ ისარგებლოს გერმანელთა იარაღის გამარჯვებით და მონაწილეობა მიიღოს ინგლისისა და საფრანგეთის იმპერიების განაწილებაში. როგორია იტალიის დღევანდელი მდგომარეობა? 16 თვის განმავლობაში მან დაჰკარგა თავისი ტერიტორიები აფრიკაში, მისი ფლოტი მნიშვნელოვნად დაზიანებულა, იტალიის ეკონომიკა ხომ მუდამ სუსტი იყო. ამრიგად, იტალია, რომელიც ომში ჩაება როგორც გერმანიის თანასწორი, თანდათან უკან მიდიოდა და რუმინეთის ანალოგიური ადგილი დაიკავა. უეჭველია ეს გავლენას მოახდენდა ფაშისტურ წესწყობილებაზე.

ამ უკანასკნელი კვირების ცნობები მოწმობენ, რომ მუსოლინმა და მისმა მეგობრებმა თავისი გავლენა დაჰკარგეს. იტალიელთა მორალური განწყობილება შეირყა, იტალიის სასურსათო მდგომარეობა ცუდია. ბევრ ქალაქში დემონსტრაციები იმართება ომის წინააღმდეგ. ფაშისტური გაზეთებიც კი ჰხივიან იტალიის ეკონომიური მდგომარეობის გაუარესების გამო. ფაშისტ პოლიტიკურ მოღვაწეებს ხელისუფლება ახლა მხოლოდ გერმანიის დახმარებით უპყრიათ. ეს დახმარება რომ არ იყოს, იტალიაში შესაძლოა გამოსვლა მოხდეს არსებული რეჟიმის წინააღმდეგ.

## ინგლისის ავიაციის მოქმედება

**ლონდონი,** 8 ოქტომბერი (საკდესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ წინა ღამით გერმანიის ავიაცია კვლავ მცირე აქტივობას იჩენდა ინგლისში. მტრის რამდენიმე თვითმფრინავი გამოჩნდა სამხრეთ-დასავლეთ ინგლისში და სამხრეთ უელსში.

ხმელთაშუა ზღვის აუზში ინგლისის ავიაცია წარმატებით დაესხა თავს მტრის გემთა ქარავანს, რომელიც 4 სავაჭრო გემისა და მათი მობადრაგე 5 საესკადრო ნაღმოსნებისაგან შესდგებოდა. დაბომბვის შედეგად ერთი გემი დაგვერდდა, მეორემ ჩაძირვა იწყო. მესამე ხომალდს, როგორც სჩანს, ცხვირის ნაწილი გაეხვრიტა. ქარავნის ეკიპაჟებში პანიკა ატყდა. მეოთხე გემმა სვლა შესწყვიტა.

ინგლისის მძიმე საბომბერები თავს დაესხნენ ტრიპოლის ნავსადგურს, აგრეთვე იერიში მიიტანეს იტალიელთა აეროდრომებსა და ჰიდროთვითმფრინავთა ბაზებზე.

4 და 5 ოქტომბერს, ღამით, ინგლისის ავიაციამ ძლიერი იერიში მიიტანა ბენგაზის ნავსადგურზე. სხვა შენაერთებმა დაბომბეს ბარდია, ბენინინა და ბარკა.

## ინგლისის პარლამენტს რწმუნება გაუგრძელდა

**ლონდონი,** 8 ოქტომბერი (საკდესი). ინფორმაციის სამინისტრო იუწყება, რომ დღეს კენჭისუყრელად მიღებულ იქნა კანონპროექტი, რომლითაც კიდევ ერთი წლით გაუგრძელდა რწმუნება პარლამენტის ახლანდელ შემადგენლობას. ერთდროულად მიღებულ იქნა კანონპროექტი, რომლის თანახმად ერთი წლით გაუგრძელდათ რწმუნება მუნიციპალურ საბჭოებს, საგრაფოთა საბჭოებს და სხვ.

## პარტიზანული ბრძოლა იუგოსლავიაში

**სტოკჰოლმი,** 8 ოქტომბერი (საკდესი). გაზეთი „აფტონბლადეტი" სწერს, რომ ჩერნოგორიაში შექმნილია სახალხო მთავრობა უნივერსიტეტის ერთ-ერთი პროფესორის მეთაურობით. მთავრობა პასპორტებსა და მთებში წასვლის საშვებს იძლევა. უჟიცეში იუგოსლავიის უწინდელი არმიის ოფიცრები ხელმძღვანელობენ პარტიზანულ მოძრაობას, რომელშიც 10 ათასამდე კაცი მონაწილეობს. იუწყებიან აგრეთვე, რომ შეტაკებანი მოხდა ბელგრადსა და სმედეროვოში, სადაც არიან მოკლულნი და დაჭრილნი. იუგოსლავიის უმნიშვნელოვანეს სასოფლო - სამეურნეო რაიონში—ბანატში შეტაკებანი და საბოტაჟის აქტები ხდება ტრანსპორტზე და სოფლის მეურნეობაში.

## ფაშისტური „შრომის ქარტიის" შემოღება საფრანგეთში

**სტოკჰოლმი,** 8 ოქტომბერი (საკდესი). სკანდინავიის დეპეშათა ბიუროს ცნობით, ვიშის მთავრობამ მიიღო ეგრეთწოდებული „შრომის ქარტია", რომლის თანახმად საფრანგეთის მთელი მეურნეობა, ფაშისტური იტალიის მიბაძვით, ეწყობა კორპორაციულ საფუძვლებზე. „ქარტია" კატეგორიულად კრძალავს მუშათა გაფიცვას. სახელმწიფო სრულიად თავისუფლდება უმუშევრობის დახმარების გაცემისაგან.

## გაფიცვა ფინეთში

**სტოკჰოლმი,** 8 ოქტომბერი (საკდესი). ქალაქ ვაზაში მიმდინარეობს ტექსტილის ფაბრიკის მუშათა გაფიცვა. გაზეთი „სუომენ სოსიალიდემოკრაატი" იუწყება რომ 2 ოქტომბერს მთავრობამ მუშებს წინადადება მისცა დაუყოვნებლივ შესწყვიტონ გაფიცვა.

**ლ. პ. ბერია**

ქანდაკება რ. თავაძისა (საქართველოს მხატვრების ნაწარმოებთა გამოფენა, მიძღვნილი სამამულო ომისადმი)

## „პროფესორი მამლოკი" რუსთაველის სახელობის თეატრში

რუსთაველის სახელობის თეატრი ამზადებს ახალ დადგმას—გერმანელი ანტიფაშისტი მწერლის ფრიდრიხ ვოლფის ცნობილ პიესას „პროფესორი მამლოკი". ეს პიესა შესანიშნავად ასახავს ფაშისტ ბარბაროსთა ყაჩაღურ თარეშს მას შემდეგ, რაც ისინი გერმანიაში ხელისუფლების სათავეში ჩადგნენ. ანტისემიტიზმი, ინტელიგენციის ცინიკური დევნა, კულტურის, მეცნიერებისა და ჰუმანიზმის ფეხქვეშ გათელვა, ველური ინსტინქტების, კაციჭამიობის რასული „თეორიების" გაბატონება, — აი ნაცისტური გერმანიის სინამდვილე, რომელსაც ასახავს ფ. ვოლფის პიესა. უკვე რამდენიმე წელია, რაც „პროფესორი მამლოკი" დამსახურებული ყურადღებით სარგებლობს საბჭოთა კავშირის თეატრებში. ეს ნაწარმოები ასახულ იქნა აგრეთვე საბჭოთა კინემატოგრაფიაში და მას მაყურებელთა მილიონიანი მასები იცნობენ.

„პროფესორ მამლოკს" სდგამს რეჟისორი დ. ალექსიძე, მხატვრული გაფორმება ეკუთვნის დ. თავაძეს, მუსიკა — ხელოვნ. დამს. მოღვაწეს კომპოზიტორ ი. ტუსკიას.

პიესაში მთავარ როლებს ასრულებენ: რესპ. სახ. არტ. გ. დავითაშვილი (პროფესორი მამლოკი), შ. აბესაძე (კარლსენი), დამს. მსახ. გ. სარჩიმელიძე (გირში), გ. საღარაძე (გელპახი), თ. ბაქრაძე (ინგე), შ. სანაძე (ჰედვიგა), ბ. წულაძე (სიმონი), დამსახ. მსახიობი ვ. აფხაიძე (ზეიდელი), დამს. მსახიობი ნ. დავითაშვილი (ელენე მამლოკი), ვ. დოლიძე (როლფი), დამს. მსახიობი ნინო მესხიშვილი (რუტ), ს. ჯაფარიძე (ერნესტ), გ. ასიტაშვილი (მუშა), ო. დოლიძე (ფრაუ რუოფ) და სხვ.

„პროფესორ მამლოკის" პრემიერა ნაჩვენები იქნება ოქტომბრის შუა რიცხვებში.

## ახალი პიესები

**„ხალხი აღსდგა".** შ. დადიანმა და რ. ქორქიამ დასწერეს პიესა სამამულო ომის თემაზე—„ხალხი აღსდგა", რომელიც ასახავს საბჭოთა ხალხის თავდადებულ ბრძოლას ფაშისტი კაციჭამიების წინააღმდეგ. პიესა დასადგმელად მიიღო რუსთაველის თეატრმა.

**ერთმოქმედებიანი პიესები.** ს. ერთაწმინდელმა დასწერა ერთმოქმედებიანი ანტიფაშისტური პიესები: „ყანები იწვის" (დრამა) და „არიული ცეკვა" (სატირა).

## ფართოდ გავშალოთ წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება

### მთელი ძალები მტრის გასანადგურებლად

**ხარკოვი,** 8 ოქტომბერი (საკდესი). ხარკოვის № ქარხანაში შესდგა მიტინგი, რომელზედაც ყველა საამქროს და განყოფილების კოლექტივებმა მოიყარეს თავი. ქარხნის სამანქანო კორპუსის ტრიბუნაზე გამოსული ყველა ამხანაგის სიტყვა მიეძღვნა წინასაოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებასა და მტრის გასანადგურებლად ძალების მობილიზაციას.

კადრის მუშამ, მეინსტრუმენტე ზეინკალმა იაკუბოვამ სთქვა:

— ჩემი ვაჟი ფრონტზეა, ჩემთვის ადვილი კი არ იყო მასთან განშორება, მაგრამ ჩემი მამობრივი დავალება ნათელია, არ შეიძლება საკუთარი სიცოცხლე დაზოგო, რომ ვერაგი და ძლიერი მტრისაგან სამშობლო დაიცვა. თუმცა მე მოხუცი ვარ და უკვე არა ერთი წელია პენსიას ვიღებ, მაგრამ ჩემს ქარხანას დავუბრუნდი და ფრონტზე წასული შვილი შევცვალე.

შემდეგ გამოვიდნენ № 5 საამქროს ოსტატი ამხ. ანანიევი, ქარხნის ინჟინერი ამხ. ლიბერმანი და სხვ.

მგზნებარე სიტყვები წარმოსთქვეს მიტინგზე მწერლებმა ვანდა ვასილევსკაიამ და ალექსანდრე კორნეიჩუკმა. მათ ილაპარაკეს საბჭოთა ადამიანების მაღალ პატრიოტიზმზე ფაშიზმის წინააღმდეგ სასტიკ, სამკვდრო - სასიცოცხლო ბრძოლაში და მხურვალედ მოუწოდეს ქარხნის მუშებს, მუშა ქალებსა და ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალს დაუღალავად განამტკიცონ ჩვენი ქვეყნის თავდაცვა, გააძლიერონ ფრონტის დახმარება და ამას მოახმარონ მთელი ძალა და ცოდნა.

### ნაკისრ ვალდებულებებს წარმატებით ასრულებენ

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის კოლექტივი უკვე შეუდგა წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას.

ამწყობ საამქროს ზეინკალთა ბრიგადამ, რომელსაც ცნობილი სტახანოველი ამხ. ს. ამიროვი ხელმძღვანელობს, 7 ოქტომბერს დავალება 312 პროცენტით შეასრულა. ამ ბრიგადაში 7 ზეინკალის მაგერ 4 მუშაობს და დავალებას კი სამ და ოთხმაგად ასრულებს. ზეინკლები ამხ. ს. კუჭავა, ივ. ნარიკაშვილი და შ. ნაგროზაშვილი გეგმას 350-400 პროცენტით ასრულებენ.

წარმატებით მუშაობს ამხ. გრ. ანდრიაშვილის ბრიგადაც. აქ 11 კაცის ნაცვლად 6 კაცი მუშაობს, მაგრამ დავალებას 200-250 პროცენტით ასრულებენ. ომიანობის დროის შესაფერისად მუშაობენ ამხ. დ. გაბოძე, ვ. ოხრუმენკო, ზოია ლუკაშევიჩი, ნ. ბაკიძე და სხვ.

თავდადებული შრომით გამოირჩევა ამხ. ტ. ამირხანაშვილის ბრიგადა, რომელმაც 9 ოქტომბერს № 5116 და № 386 ორთქლმავლებს არმატურა მოარგო და დავალება 300 პროცენტით შეასრულა.

მექვაბეთა ბრიგადამ, რომელსაც ორდენოსანი ამხ. მ. გაწაძე ხელმძღვანელობს, დავალებას 300 პროცენტით შესრულება იკისრა. ბრიგადა ვალდებულებას პირნათლად ასრულებს.

მჭედლებიც არ ჩამორჩებიან. ამხ. ვიტუხინი, ჯარიაშვილი, სადაღაშვილი, ლეჩინაშვილი და სხვები დავალებას 200-250 პროცენტით ასრულებენ.

სტალინელები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ახალი გამარჯვებით შეხვდნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXIV წლისთავს, ფრონტს მისცენ მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქცია.

### დავალების 950 პროცენტი

თბილისის საორთქლმავლო დეპოს ცნობილი ხარატი ამხ. ს. სანაძე ჩაება წინასაოქტომბრო შეჯიბრებაში და ყოველდღიური გეგმას 450 პროცენტით შესრულება იკისრა. მან სიტყვა საქმით აქცია. 8 ოქტომბერს 84 საათის სამუშაო 8 საათში გააკეთა და გეგმა 922,8 პროცენტით შეასრულა.

ასეთივე ვალდებულება იკისრა ახალგაზრდა ხარატმა ამხ. ივ. ანუსმა, რომელმაც 7 ოქტომბერს დავალება 950 პროცენტით შეასრულა.

ამხ. სანაძის და ანუსის გეგმის შესრულების მაჩვენებლები 500 პროცენტზე ქვევით არ ჩამოდის.

## სამამულო ომისადმი მიძღვნილი გამოფენა

საქართველოს საბჭოთა მხატვრების სურათების გალერიაში გაიხსნა სამამულო ომისადმი მიძღვნილი გამოფენა. გამოფენის შესასვლელთან არის ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის წითელი არმიის სათლქო სახლის სატირის ფანჯარა — მხატვარ ლორის-მელიქოვის და ვოტბოლსკისა. ორ დარბაზში არის 67 ტილო — ზეთით შესრულებული, გრაფიკული ნახატი ისტორიულ და თავდაცვითს თემატიკაზე.

ყურადღების ცენტრშია პორტრეტები ამხანაგ სტალინის, მოლოტოვის, მალენკოვის, ბერიას, საბჭოთა კავშირის მარშლების ვოროშილოვის, ტიმოშენკოს და ბუდიონისა, რომლებიც შესრულებულია მხატვარ უ. ჯაფარიძის, ქ. მაღალაშვილის, კ. კიკნაძისა და ა. დანდუროვას მიერ.

ფაშიზმის საშინელებანი მკაფიოდ არის გადმოცემული ბ. რომანოვსკის ნახატ „ფაშიზმში". ამავე თემისადმია მიძღვნილი მხატვარ კვირიკაშვილის ნახატი. რომანოვსკის ნახატი „იერიში" გამოხატავს მამაცი წითელი არმიის ნაწილების ბრძოლის ერთერთ მომენტს, ახალგაზრდა მხატვარ ს. ნიაურის ნახატი—„წითელი მეთაურის ნამბობი", ს. ნადარეიშვილისა—„გმირის დაბრუნება", ა. ციმაკურიძისა — „სასურველი სტუმარი", მიძღვნილია მამაცი წითელი არმიისადმი.

სამოქალაქო ომის ჰეროიკა ასახულია მხატვარ ს. მაისაშვილისა და ა. ქუთათელაძის ნახატებში — „ორჯონიკიძე ჩრდილოეთ კავკასიაში", „სტალინი და ვოროშილოვი ცარიცინის ფრონტზე". სახალხო გმირთა სახე მოცემულია ნახატებში: „სააკაძე"—ე. ახვლედიანისა და „არტილერისტის გმირობა" — კ. გძელიშვილისა.

ქართველი ხალხის გმირული ბრძოლა უცხოელ დამპყრობებთან წარმოდგენილია ნახატებით: „თბილისის დაცვა ხაზართაგან" — თ. აბაკელიასი, „კრწანისის ომი" — რომანოვსკისა, „თბილისის განთავისუფლება სპარსელებისაგან" — შ. მაყაშვილისა.

გამოფენა ერთ თვეს გასტანს. (საქდესი).

## ახალგაზრდობის სპორტული დღესასწაული

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტი ახალგაზრდობის ანტიფაშისტური მიტინგების აღსანიშნავად **12 ოქტომბერს ლ. პ. ბერიას** სახელობის „დინამოს" სტადიონზე ატარებს სპორტულ დღესასწაულს.

სასპორტო დღესასწაულის პროგრამაშია: ხელჩართული ბრძოლის ტექნიკა, სახანძრო ამანათრბენა, კონკურ-იპიკი, ჩხუბა, წინაღობათა ზოლის დაძლევა, ათეულის მოქმედება შეტევისას.

დასასრულ ჩატარდება საქართველოს საუკეთესო ტანმოვარჯიშეთა გამოსვლები, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ სპორტის დამსახურებული ოსტატები, ორდენოსნები ჯორჯაძე და რცხილაძე, სპორტის დამსახურებული ოსტატი ყანჩაველი, ოსტატი ბაბილოძე, თაყაიშვილი და სხვები.

დასაწყისი 4½ საათზე.

## მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა

**12 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე,** საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საქალაქო აგიტპუნქტის სალექციო დარბაზში (ლ. კეცხოველის სახელობის პარტიული პროპაგანდის სახლი) შესდგება ამხ. ჟორჟიკაშვილის მოხსენება ქართულ ენაზე. თემა: **„საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი".**

ბილეთების მიღება შეიძლება საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საქალაქო აგიტპუნქტში და საქ. კ. პ. (ბ) რაიკომების რაიონულ აგიტპუნქტებში.

## თეატრებში

**ხაოპერა**—10 ოქტომბერს — „ხევისბერი ღოლაჩი"**, 11 ოქტომბერს — „საოპერო არიების და კლასიკური ბალეტის საღამო", 12 ოქტომბერს — „ტრუბადური", **რუსთაველის სახელობის**—10 ოქტომბერს—„რღვევა", 11 ოქტომბერს — „ღალატი", 12 ოქტომბერს —„კიკვიძე", 12 ოქტომბერს **დღის წარმოდგენა**—„კიკვიძე" (დასაწყისი დღის 12 ს.), **მარჯანიშვილის სახელობის**—10 ოქტომბერს — „ბედნიერება", 11 ოქტომბერს — „ბერლინის გასაღები", 12 ოქტომბერს—„ცხვრის წყარო", 12 ოქტომბერს **დღის წარმოდგენა**—„ბედნიერება" (დასაწყისი დღის 12 ს.), **მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი** — 10 ოქტომბერს — „ხკაპენის ოინები" (მე-23 აბ.), 11 ოქტომბერს „ხკაპენის ოინები" (მე-30 აბ.), 12 ოქტომბერს—„თოვლის დედოფალი" (მე-17 აბ. დასაწყ. დღის 10 ს., მე-6 აბ. დასაწყისი 1 ს. 30 წ., მე-35 აბ. დასაწყ. საღ. 7 ს.).

## დღეს კინოებში

**რუსთაველის სახ.** — „საბრძოლო კინოკრებული № 4", **ოქტომბერი**—„დიდი ვალსი", **დამკვრელი** — „საბრძოლო კინოკრებული № 4", **კომკავშირელი**—„გულადი ნაზარა", **სპარტაკი**—„დიდი ვალსი", **ლუქსემბურგის სახ.**—„სიმღერა სიყვარულზე", **განთიადი** — „მეგობრები ხელმეორედ ხვდებიან ერთმანეთს", **კომინტერნი** — „მოკრივეები", **ვოროშილოვის სახელობის კლუბი**—„მტკიცე ხასიათის ქალიშვილი", **მეცნიერება და ცოდნა** — „ჭაჭეთი", **ნავთლუღის რკინიგზის კლუბი** — „სიმღერა სიყვარულზე". **დღის სეანსები: დამკვრელი** — „შჩორსი", **სპარტაკი** — „მესაზღვრეები", **26 კომ. სახ.** — „შეიდკასელები".

პასუხისმგებელი რედაქტორი
**ვ. ხატიაშვილი**

გაზ. „კომუნისტზე" ხელისმოწერა მიიღება „სოიუზპეჩატში" და ფოსტაში. გამომცემლობა „კომუნისტი" ხელისმოწერას არ ღებულობს. გამომცემლობა „კომუნისტი".

დ ა კ ა რ გ უ ლ ი ა

სოფ. ურბნისის კოლმეურნეობა „ხონთნოსის" მრგვალი ბეჭედი ჩაითვალოს გაუქმებულად. 12442

მე-20 სკოლის ადმინისტრაცია იუწყება მიხეილ ბიჭიაშ-ძე დარახველიძის გარდაცვალებას. გამოსვენება 12/X 1 ს. კალინინის, 9. 12464

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა, № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის—3-62-26; პ/მგ. რედაქტორის მოადგილისა—3-63-03; პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67; პ/მგ მდივნის მოადგილისა — 3-66-88; განყოფილებებისა: პარტიული და პროპაგანდის — 3-81-84; სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო-სატრანსპორტო — 3-80-83; ლიტერატურისა და ხელოვნების, განათლება-ჯანმრთელობის და ინფორმაციის — 3-80-84; სამხედროსი — 3-57-61; წერილების—3-73-24; პ/მგ. მორიგისა და გამომშვების — 3-81-65; გამომცემლობის—3-51-81; სტამბის დირექტორის—3-77-70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უშ 41120